ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3917887

ნომერი: AR1582024

თარიღი : 05.03.2018

გაცემის თარიღი : 18.04.2018

გაცნობის თარიღი : 06.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N37-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლაბაძე პ/ნ 01012004980
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 5 მარტს №AR1582024 განცხადებით მომართა კახაბერ ლაბაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით,

კერძოდ: დამხმარე ფართობად 334.3კვ.მ-ის ნაცვლად 31.5 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 215.3 კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 291.2 კვ.მ-ის ნაცვლად 563.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 693.9 კვ.მ -ის ნაცვლად 671.2 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 3576.6 კვ.მ-ის ნაცვლად 4410.7 კვ.მ- ის, საერთო ფართობად 4896.0 კვ.მ-ის ნაცვლად 5892.2 კვ.მ -ის დაფიქსირება.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3881420 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოგედგინათ 2018 წლის 5 მარტის №AR1582024 განცხადებაზე, 2017 წლის 4 ოქტომბრის №AR1546072 განცხადების საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილის ველში ატვირთული გეგმების შესაბამისი ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები.

2018 წლის 28 მარტს თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გაგიგრძელდათ ხარვეზების გამოსწორების ვადა 2018 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

სამსახურმა, შეისწავლა თქვენ მიერ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხარვეზი სრულყოფილად არ იქნა შევსებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან მიმართებაში ხდება ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობების არსებითი ცვლილება შენობის კონფიგურაციის ცვლილების გარეშე.

ვინაიდან, ხარვეზების გამოსწორებისთვის ვადა გაგრძელებული იყო 2018 წლის 20 აპრილის ჩათვლით, ამჟამად მის გამოსასწორებლად დარჩენილია 2 სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 2 (სამუშაო დღის ვადაში), კერძოდ, საჭიროა დეტალურად განმარტოთ სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან მიმართებაში რამ გამოიწვია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობების არსებითი ცვლილება შენობის კონფიგურაციის ცვლილების გარეშე.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, 2018 წლის 5 მარტის №AR1582024 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.